ქედლებზე შერჩენილი სიცოცხლე

ვანის (სხვანაირად ვაჰანის) ქვაბთა მონასტერი, რომლისგანაც ამჟერად მხოლოდ ნანგრევებია დარჩენილი, მდებარეობს ვარძიის ცოტა ქვემოთ, მდინარე მტკვრის მარჯვენა ნაპირზე. გამოქვაბულთა ზემო სართულში მოთავსებულია ერ ჯვრის ტიპის პატარა გუმბათიანი ეკლესია, რომლის კედლებზე მოიპოვება XV — XVI საუკუნეთა „მხედრული" წარწერები. მათი შინაარსიდან ჩანს, რომ წარწერები: შესრულებულია ქალების, მონაზვნების მიერ. ეს წარწერები 1936 წელს გაკერით მოიხსენია კოლა ესამაშვილმა. 1954 წელს 9 წარწერა კალკების, ფოტოსურათებითურთ გამოაქვეყნა ვ. ცისკარიშვილმა, რომელმაც ვერ შეამჩნია, რომ მის მიერ შესწავლილი წარწერები ლექსებს შეიცავენ. ამ ხაზით მან ყურადღება მიაქცია მხოლოდ ერთ წარწერას, რომელშიც დამახინჯებული სახით მოყვანილია „ვეფხისტყაოსნის" ორი სტროფი.

ამ წარწერებით დაინტერესდა რუსთაველის სახელობის ლიტერატურული ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი შ. ონიანი. მან ვ. ცისკარიშვილის მიერ გამოქვეყნებულ ტექსტებში მიაკვლია ლექსებს. ამან, ბუნებრივია, მკვლევარს ავარაუდებინა ლექსების არსებობა სხვა წარწერებშიც, რომელნიც მაშინ ამოკითხული არ იყო. 1958 წელს შ. ონიანმა, ჩვენი რჩევით ადგილზე შეისწავლა სხვა წარწერებიც ამ მონასტრისა, რომლებშიც მან აღმოაჩინა დამატებით კიდევ ახალი ლექსები. ამის შესახებ ონიანმა ორჯერ წაიკითხა მოხსენება ინსტიტუტში. მოხსენებებმა, როგორც მოსალოდნელი იყო, დიდი ინტერესი გამოიწვიეს.

✦

ვანის ქვაბთა მონასტრის წარწერების პოეზია

✦

შ. ონიანის გამოკვლევით, ვანის ქვაბთა მონასტრის ჯერჯერობით გაშიფრული წარწერები შეიცავს 10 ლექსს. ამათგან სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილი იყო მხოლოდ ორი სტროფი „ვეფხისტყაოსნისა" და სერაპიონ საბაშვილის მიერ გალექსილი „როსტომიანის" ერთი სტროფი.

წარწერებში მოყვანილი ლექსები მონასტრის კედელზე მიუწერიათ მონაზონ ქალებს. ლექსები სხვადასხვა საუკუნეს განეკუთვნებიან. ძირითადად ისინი XV — XVI საუკუნეებში არიან შესრულებულნი. მათი უმეტესობა სატრფიალო-სამეჯნურო შინაარსისაა.

ახლად მოპოვებული მასალების მნიშვნელობა ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიისათვის ცხადი იქნება, თუ გავითვალისწინებთ შემდეგს: „ვეფხისტყაოსნის" პროლოგიდან ჩანს, რომ ძველი ქართული ლიტერატურის კლასიკურ ხანაში არსებობდა ლირიკული ჟანრის მოკლე ფრიოლური ლექსებიც. მისი ნიმუშები დღემდე მოგვეპოვებოდა მხოლოდ XVII საუკუნის მეორე ნახევრიდან, მაშასადამე თარიღი თითქმის ორი საუკუნითაა წინ გადაწეული.

ამ წარწერებმა ძველი ქართული პოეზია გამდიდრეს სამი ამდენ ხანს უცნობი პოეტი ქალის სახელით; ესენი არიან: **გულქან შალიკაშვილი, ანა რჩეულიშვილი და თუმაან გორჯიშვილი.** მათ უწერიათ მეტად მგრძნობიარე და დამახასიათებელი ლექსები.

ამ წარწერებში შემონახულმა ლექსებმა ჩვენ ნათლივ დაგვანახეს, როგორ აფართოებს თავის გავლენის სფეროს საერო მხატვრული პოეზია და როგორ ასუსტებს ის საეკლესიო მწერლობის ბატონობას. თუ მონაზონი ქალებიც სატრფიალო - სამეჯნურო პოეზიას ეტანებიან და მას თავისი ნაწარმოებებით ამდიდრებენ, რალა უნდა ვთქვათ საერო პირების შესახებ. აქ პოულობს გამართლებას არჩილ მეფის ცნობილი საყვედური.

დასასრულ, ამ წარწერებს დიდი მნიშვნელობა აქვთ ქართული ფოლკლორის ისტორიისათვისაც: მათ შემოუნახავთ XVI საუკუნეში ჩაწერილი ორი ხალხური ლექსი; აქამდე კი ფოლკლორული ჩანაწერები გვქონდა მხოლოდ XVII საუკუნის მეორე ნახევრიდან.

ვანის ქვაბთა ეკლესიის წარწერებზე მუშაობა შ. ონიანს მთლიანად არ დაუმთავრებია. კედელზე, ამოკითხულთ გარდა, კიდევ არის მრავალი წარწერა, რომელნიც ჰუქყით არიან დაფარული. საჭიროა მათი ქიმიური გასუფთავება, რომ შესაძლებელი გახდეს ყველა წარწერის წაკითხვა და მეცნიერული გამოყენება.

ჯ. კეკელიძე,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.